სექტემბერი, 2022

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- აგვისტოში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.5% შეადგინა.
- სექტემბერში წლიური ინფლაცია 11.5%-ს გაუტოლდა.
- სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.7%-ით, ხოლო ევროს მიმართ 0.6%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი



აგვისტოში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 10.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აგვისტოში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.5% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის აგვისტოში*, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 4.2% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 11.5%-ს შეადგენს.

წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, 2022 წლის სექტემბერში ინფლაციის დონე 11.5%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებზე, რესტორნებზე და სხვა. სექტემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 7.5%-ით განისაზღვრა. 2022 წლის აგვისტოში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 11.4% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



აგვისტოში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის აგვისტოში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 4.6%-ით, ხოლო ხარჯები 4.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 197.8 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 194.5 მლნ ლარით განისაზღვრა.





აგვისტოში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.

წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, 2022 წლის აგვისტოში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 8.1%-ით მოიმატა და 42.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 20.0%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 3.2%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 23.9% გაცემულია მრეწველობის დარგში, 19.7% - ვაჭრობის, 15.5% - მშენებლობის, 11.3% - უძრავი ქონების ოპერაციების, 9.0% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი-აგვისტო



იანვარ - აგვისტოში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

კერძოდ, ექსპორტმა 36.9%-ით, ხოლო იმპორტმა 36.5%-ით მოიმატა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული, რამაც (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11,936 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 36.6%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.9%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: პერუში (878.0%-ით, აზოტოვანი სასუქების ექსპორტის მკვეთრი ზრდის ხარჯზე), აგრეთვე ყაზახეთში (152.8%-ით), ბულგარეთში (113.2%-ით), აშშ-ში (108.2%-ით), სომხეთში (104.3%-ით), თურქეთსა (51.8%-ით) და აზერბაიჯანში (21.5%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი უკრაინაში (13.0%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერგიის (398.5%-ით), აზოტოვანი სასუქების (239.0%-ით), ძვირფასი ლითონების (125.4%-ით), მსუბუქი ავტომობილების (67.3%-ით), ფეროშენადნობის (40.0%-ით), სპილენძის მადნების (32.0%-ით) ჯგუფებში.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - აგვისტო)



ფულადი გზავნილები (%)
აგვისტო



აგვისტოში* ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნა გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აგვისტოში* საქართველოში ფულადი გზავნილები 63.1%-ით გაიზარდა და 334.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აგვისტოს თვეში გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 33.2%) და ევროკავშირის ქვეყნები (27.8%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა სომხეთიდან (1,421.6%-ით), ბელარუსიდან (1,412.9%-ით), ყირგიზეთიდან (658.8%-ით), ტაჯიკეთიდან (281.4%-ით), რუსეთიდან (194.6%-ით), ყაზახეთიდან (167.0%-ით), უზბეკეთიდან (163.3%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (115.1%-ით), ნიდერლანდებიდან (67.3%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - აგვისტო



2022 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,313 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2022 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,313 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ 2021 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 5.8%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 1.2%-ით მეტი.

2022 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 13.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.





2022 წლის სექტემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის სექტემბერში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 636,235 შეადგინა, რაც 106.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც სექტემბრის თვეში 559,887 იყო (ზრდა წინა წლის სექტემბრის ანალოგიურ მაჩვენებელთან 110.1%). სექტემბრის თვეში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (163,192. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 392.4%-ით), სომხეთიდან (83,603. ზრდა 360.4%-ით), თურქეთიდან (81,790. ზრდა 153.4%-ით).

2022 წლის აგვისტოში* შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 522.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 163.1%-ით მეტია 2021 წლის აგვისტოს თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

აგვისტოში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აგვისტოში* სარეზერვო ფულის მასა 10.8%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 16.6%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 12.4%-ს გაუტოლდა. სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 11.5% შეადგინა.





აგვისტოში*, წინა თვესთან შედარებით, როგორც დეპოზიტებზე, ისე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა. 2022 წლის აგვისტოში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.32%-ული პუნქტით გაიზარდა და 57.4%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.42%-ული პუნქტით მოიმატა და 46.3% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2022 წლის აგვისტოში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.1%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 8.7%-ით გაიზარდა.





აგვისტოში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.3%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა.

2022 წლის აგვისტოში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.6% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2022 წლის აგვისტოს* მდგომარეობით 5.5% შეადგინა, 0.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის აგვისტოსთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად (11.0%) დატოვა.

სექტემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ მცირედით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7%-ით, ევროს მიმართ 0.6%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.2%-ით გაუფასურდა. ამ პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 9.3%-ით, ევროს მიმართ 29.8%-ით, თურქული ლირას მიმართ კი 134.6%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2022 წლის სექტემბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 83.5% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (9.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა* და რუსეთს*, 2022 წლის აგვისტოს* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აზერბაიჯანში 14.2%-ით, ხოლო რუსეთში 14.3%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, სექტემბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
სექტემბერი, 2022



სექტემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, 2022 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა რუსული რუბლი (21.5%–ით), სომხური დრამი (19.6%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით), ხოლო თურქული ლირა (53.4%-ით) გაუფასურდა.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იან 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	6.9	6.9	12.0	9.6	18.0	14.6	10.6	2.6	11.6	7.2	9.7	10.5	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	24.0	25.6	32.6	31.2	39.8	27.3	24.4	11.7	25.3	20.4	21.9	23.0	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	12.3	12.8	12.5	13.9	13.9	13.7	11.8	12.8	13.3	12.8	11.5	10.9	11.5
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.0	10.0	10.0	10.5	10.5	10.5	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	3.1	3.1	3.1	3.1	3.1	3.0	3.2	3.1	3.0	3.0	2.8	2.8	2.9
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	209 749.8	206 691.2	207 337.5	229 487.0	168 840.5	183 418.8	193 065.3	308 140.1	505 708.1	427 354.6	306 023.4	334 266.1	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	373.6	411.2	430.4	419.5	331.3	429.0	411.4	415.7	522.6	448.4	542.2	470.7	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	958.3	936.2	1 033.3	1 050.3	800.9	1 019.1	925.7	992.3	1 180.5	1 108.8	1 123.3	1 213.8	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-584.7	-524.9	-603.0	-630.8	-469.6	-590.1	-514.3	-576.6	-657.9	-660.3	-581.2	-743.1	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 076.6	3 959.0	3 928.5	4 272.1	4 078.1	3 992.9	4 030.6	3 826.4	3 855.2	3 922.4	4 156.7	4 260.7	4 313.1
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1 300.5	1 278.7	1 420.0	1 707.4	1 485.1	1 292.1	1 731.5	1 263.2	1 697.9	1 707.5	1 424.4	1 356.2	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 208.4	1 303.1	1 256.0	1 934.4	1 185.8	1 226.2	1 413.1	1 350.9	1 377.3	1 277.2	1 510.8	1 158.4	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	479.9	248.2	296.6	798.8	193.9	218.0	304.2	230.5	266.1	445.9	327.5	403.4	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		სექ 21	ოქტ 21	ნოე 21	დეკ 21	იანვ 22	თებ 22	მარ 22	აპრ 22	მაისი 22	ივნ 22	ივლ 22	აგვ 22	სექ 22
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.